

ა(ა)იპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა, ფინანსურ მენეჯერთა და ფედერაციის“

საერთო კრება

2017-2020 წლების საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2021 წლის 19 ივნისი

ფედერაციის მიზნები და ამოცანები

ფედერაციის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

- საქართველოში აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ინტერესების დაცვა;

- საერთო ძალისხმევა საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგების აუდიტის და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და ფაქტობრივი დამკვიდრების უზრუნველყოფისთვის;

- აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, განგრძობითი სწავლებისა და სერტიფიცირების პროცესის განხორციელება;

- ფედერაციის წევრთა მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა;

ფედერაციის მართვა

ფედერაციის მმართველობითი ორგანოებია:

- ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება;
- ფედერაციის გამგეობა;
- ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი;
- სარევიზიო კომისია;
- კომიტეტები;

ფედერაციის სტრუქტურაში მოქმედებს: ფედერაციის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია;

• სასწავლო ცენტრი, რომელიც შექმნილია სპეციალიზებულ სუბიექტთან წილობრივი მონაწილეობით, ფედერაციის წესდებით განსაზღვრული წევრების განგრძობითი სწავლებისა და პროფესიული სერტიფიცირების უზრუნველსაყოფად;

• ბექდური ელექტრონული ორგანო - პერიოდული სამეცნიერო, ანალიტიკურპრაქტიკული ჟურნალი.

- ფედერაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება; ფედერაციის ხელმძღვანელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის გამგეობა; ფედერაციის გამგეობა შესდგება სულ 9 წევრისგან, მათ შორის, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) და 8 წევრისგან; ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად შექმნილია შემდეგი კომიტეტები:

- წევრობის კომიტეტი;
- პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტი;
- ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის კომიტეტი;
- განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტი;
- სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტი;
- საგადასახადო საკითხთა კომიტეტი.

ფედერაციის გამგეობის საქმიანობა

წინა საანგარიშო პერიოდში გამგეობამ ჩაატარა 17 სხდომა. გამგეობის სხდომებზე განხილული იქნა და მიღებული იქნა გადაწყვეტილებები შემდეგ საკითხებზე:

- ჩამოყალიბდა და დამტკიცდა კომიტეტების დებულებები;
- იხილებოდა და მტკიცდებოდა ფედერაციის ფინანსური ანგარიშგება და ყოველწლიური სამოქმედო გეგმები;
- განგრძობითი სწავლების პროგრამები;
- სასერტიფიკაციო პროგრამა;
- გარდა ორგანიზაციული საკითხებისა, გამგეობის სხდომებზე იხილებოდა ისეთი საკითხები, როგორცაა: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მუშაობის ხარისხის ამაღლება; სხვადასხვა ტრენინგების ჩატარება და სხვა.

წევრებთან ურთიერთობა

ფედერაციის წევრებთან ურთიერთობის პოლიტიკას განსაზღვრავს წევრობის კომიტეტი.

კომიტეტი განიხილავს წევრობის კანდიდატების წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებებს მათ წევრად მიღებაზე, ატარებს ადმინისტრაციულ ღონისძიებებს

წევრობის შეჩერებასა და გარიცხვაზე. კურირებს საწევრო გადასახადების დაფარვის პროცესს.

2021 წლის 1 იანვრისათვის ფედერაციის წევრი იყო:

ფიზიკური პირი - 351 წევრი, აქედან, სერტიფიცირებული ბუღალტერი - 241 წევრი, მათ შორის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული - 147 აუდიტორი;

- იურიდიული პირი-54.

წევრობის კომიტეტის მიერ, სხვა კომიტეტებთან ერთად ხორციელდებოდა და კვლავაც განხორციელდება პროფესიასთან დაკავშირებული მიზნობრივი ლექციები და სემინარები.

განათლება და სერტიფიცირება

პროფესიული სერტიფიცირება, ბუღალტერთა გადამზადება და უწყვეტი ანგრძობითი განათლების ხელშეწყობა ფედერაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

საანგარიშგებო პერიოდში გაწეული იქნა ღონისძიებები შემდეგი მიმართულებით:

- „ზედამხედველობის სამსახურმა“ აღიარა ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამა;

- „ზედამხედველობის სამსახური“ ყოველწლიურად აღიარებს განგრძობითი სწავლების პროგრამებს და ამ პროგრამებით ჩატარდა განგრძობითი სწავლებები თბილისსა და ბათუმში;

-სისტემატურად ტარდება სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის მსოფლო ბანკის დახმარებით.

სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

„სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტის“ მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ბასს), ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ასს), ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების და სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროთი დაინტერესებულ ფედერაციის წევრთათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა თეორიული სწავლების, კონსულტირების, განმარტებების მიცემის, აზრთა გაცვლა-გაზიარების, დისკუსიების და ა.შ ორგანიზების გზით, აგრეთვე მათი კანონიერი პროფესიული ინტერესების დაცვის ღონისძიებათა ორგანიზება/განხორციელება;

კომიტეტის მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები და ვებინარები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში. კომიტეტი ჩართული იყო განგრძობითი სწავლების თემატიკით გათვალისწინებული სემინარების პროგრამის მომზადებისა და ლექციების ჩატარების პროცესში.

ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის კომიტეტი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აუდიტორული საქმიანობის რეგულირება და ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია სრულად გადავიდა „საზედამხედველო სამსახურის“ ფუნქციებში. ამ კუთხით ფედერაციის ფუნქციაში რჩება აუდიტორულ ფირმებში ხარისხის კონტროლის წინასწარი მონიტორინგის - „დიაგნოსტიკური ანგარიშის“ მომზადება.

კომიტეტი ჩართული იყო სამუშაოებში, რომელიც პროფესიული ორგანიზაციების თანამშრომლობით, მცირე აუდიტორული ფირმებისთვის აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით, HAT-ის სახელმძღვანელოს თარგმანის სრულყოფასა და აუდიტორული პროგრამა E-dok-ის ადაპტირების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობდა. აღნიშნული ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICAEW), ასევე, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული რეგიონული ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ნაწილია. პროგრამის მიზანი იყო საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ხარისხის გაუმჯობესება.

საანგარიშო წლის განმავლობაში აუდიტორულ ფირმებს ფედერაციისათვის „ხარისხის კონტროლის დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების წესის“ შესაბამისად წინასწარი მონიტორინგისათვის არ მოუმართავთ.

პროფესიული ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

კომიტეტი შეისწავლის წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებს; გამოვლენილ დარღვევებზე ახორციელებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საანგარიშო პერიოდში წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევის

ფაქტები არ გამოვლენილა, ხოლო შემოსულ ინფორმაციაზე კომიტეტი ახორციელებდა შესაბამის რეაქციას.

საგადასახადო საკითხთა კომიტეტი

საგადასახადო საკითხთა კომიტეტის ფუნქციაა: ფედერაციის ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის მომზადება; წევრების საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე; წერილობით შემოსულ კითხვებზე კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება; საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან. კომიტეტი საანგარიშო პერიოდში წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციებს.

COVID-19 პანდემიის პერიოდში გარკვეულად შეფერხდა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. კომიტეტი გეგმავს აღადგინოს ფედერაციის წევრებთან შეხვედრების პრაქტიკა საგადასახადო კოდექსის სიახლეებთან დაკავშირებით.

ფინანსური მდგომარეობა

გასული წლების ფინანსური ანგარიშგების ანგარიშგების მასალები გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ფედერაციის ვებგვერდზე gfaafm.ge (იხ. ფინანსური ანგარიშგება). ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, მას დეტალურად არ განვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ხარისხის გაუმჯობესება აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამ მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტმა (ICAEW) რეგიონული ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება. პროგრამა აზიის განვითარების ბანკის მიერ იყო დაფინანსებული. პროგრამას მხარს უჭერდა

მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR). საანგარიშო პერიოდში ფედერაცია აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროექტში.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარდა სხვადასხვა ვებინარები.

2019 წლის ნოემბერში „თვინინგის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო გამოცდილებების გაცნობის მიზნით, ფედერაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორდღიან ვიზიტში საბერძნეთში, სადაც შეხვდნენ კოლეგებს, განიხილეს აუდიტის რეფორმის უპირატესობები და გამოწვევები, ერთმანეთს გაუზიარეს საუკეთესო პრაქტიკა, გაეცნენ საბერძნეთში მარეგულირებლისა და პროფესიულ ორგანიზაციას შორის ურთიერთობებს. პრეზენტაციების შემდგომ, საუბარი იყო პროფესიის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში ხარისხის კონტროლის დადგენილ მოთხოვნებთან მცირე ზომის აუდიტორული ფირმების შესაბამისობის მიღწევის შესაძლებლობების განხილვას.

ფედერაციის სამომავლო სამოქმედო გეგმა

ფედერაციის სამომავლო სამოქმედო გეგმა მოიცავს:

- განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის განვითარებასა და სრულყოფას;
- წევრი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის განვითარებას და სრულყოფას;
- წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემების მოთხოვნების დაცვის მიზნით მათთან სისტემატურ კომუნიკაციას.
- პროფესიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

საანგარიშგებო პერიოდში გაწეული საქმიანობისათვის მადლობას ვუხდით ფედერაციის ყველა წევრს!

მადლობა ყურადღებისათვის!